საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში

გიორგი ჩუბინაშვილისა.

ხუროთმოძღვრების ძეგლები საქართველოში ბრაგლისაგან მრავალია; მათი გრძელი და განუწყვეტელი მწკრივი მე-VI საუკუნიდან იწყება და მოდის თვით რუსეთის ბატონობის დაწყებამდე, როდესაც ბუდმიევი შეუწყვეტელი საუკუნო საამშენებლო ტრადიციის საფუძველზე დაყრდნობილი მსვლელობა მშობლიური ხუროთმოძღვრებისა ძალით იყო შეწყვეტილი სრულიად სხვანაირი ფორმებისა და ჩვეულების შემოსევით. ამ ჩვენი ხუროთმოძღვრების წარსულის სიმდიდრემ უკვე დიდი ხანია მიიქცია მეცნიერების ყურადღება და ამ ჟამად ჩვენ ვდგევართ იმ მომენტის წინაშე, როდესაც სისტემატიურად შესრულებული გამოკვლევა ქართული ძეგლებისა საბოლოოდ დაუმკვიდრებს ქართულ ხელოვნებას განსაზღვრულ ადგილს მსოფლიო ხელოვნების განვითარების მსვლელობაში. მნიშვნელობა ქართული ხუროთმოძღვრებისა დაფუძნებულია დღევანდლამდე განსაკუთრებით საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებზე. ჩვენი ქვეყნის ტაძრები თავიანთი სრულიად ინდივიდუალური მხატვრული ფორმებით იმდენად თავისებურნი არიან და იმდენად ბაღალ ღირებულებას წარმოადგენენ, რომ არ შეიძლებოდა არ გაჭოეწვიათ მათ ხელოვნების დამფასებელთა შორის აღტაცება და განცვიფრება. ხოლო რაც შეეხება საერო ხუროთმოძღვრებას, მისი ძეგლები არ იქცევდენ ყურადღებას, რადგანაც მთელი მათი შინაგანი მორთულობა დაკარგულია დროთა განმავლობაში. სიმდიდრისა და აფერადებული მშვენიერების ნაცვლად, ეს ნანგრევები ჩვენს წინ დგანან გაშიშვლებულნი, გაძარცულნი და თითქო მოკლებულნიო ყოველ გვარ ისტორიას. ნამდვილად-კი, როგორც შემდეგი აღწერა გვიჩვენებს, მათში მაგრად ფეთქდა ისეთივე მხნე შემოქმედებითი სული, როგორც საეკლესიოში. აქაც შემუშავდა თავისი განსაზღვრული ფორმები და თავისი საამშენებლო ხერხი.

კახეთი ხუროთმოძღვრების მხრივ წარმოადგენს საქართველოს მეტად მნიშვნელოვან კუთხეს, რომლიდანაც (გვგონია, ეს ებლა უნდა ჩაითვალოს სრულიად გამორკვეულად) შემოქმედებითი იმპულსების ნაკადული მთელს საქართველოში ვრცელდებოდა. აქ შენახულია სხვათა შორის რამდენიმე ნანგრევი საერო შენობისა, რომელთა შორისაც ზოგი ეკუთვნის ადრეულ ხანას, მე-IX—მე-X საუკუნეს. ეს შენობებია ფეოდალებისა და ეპისკოპოსების სასახლეები ნეკრესსა, ჰერეთსა, ვანთასა, ვაჩნაძიანსა და კვეტერაში და აგრეთვე აკადემია იყალთოში და მათ განხილვას შეუდგებით ჩვენ ახლა.

I.

ყველა ეს შენობები აგებულია ორ სართულად: ქვედა —თითქო საცხოვრებლად და სხვადასხვა საჭიროებისათვის, ხოლო ზედა—საზეიმო, მიღებისა და სხდომებისათვის. ზედა სართული შესდგება ერთი დიდი გრძელი დარბაზისგან, რომელსაც ზოგიერთ ამ დასახელებულ შენობათაგანში გვერდით ცალკე ნაწილები აკრავს. დიდ დარბაზს გძელი კედლის სიგძეზე აქვს დიდი კამარიანი მალები, ხოლო ერთს ან ორსავ ვიწრო მხარეზე ორპირი კამარა ფართე გასახედით შორს. ადგილმდებარეობის არჩევა და მერე მისი კავშირი შენობის ნაწილების გარიგებასთან წარმოადგენს საერთო თვისებას მთელი ქართული ხუროთმოძღვრებისას, მაგრამ, ვგონებ, მან ისე ძლიერად არსად არ იჩინა თავი, როგორც ამ საერო ხუროთმოძღვრებაში.

აღნიშნულ შენობათა საერთო თვისებათა დახასიათების შემდეგ გადავიდეთ ყოველი მათგანის ცალკე აღწერაზე, რომ შემდეგ შედარებით განვიხილოთ და საერთო ჯამი გავუკეთოთ [1]. მათი აშენების დროის გამორკვევა შეიძლება მხოლოდ შედარებით ყოველი მათგანის ცალკე აღწერის შემდეგ.

1. **ნეკრესის** საინტერესო მონასტერში, რომელიც მთის შუა წელზედ ძევს, დაახლოებით თანასწორ მანძილზე სოფ. შილდიდან და ყვარლიდან (ამ ორსავ სოფლიდან იგი დაშორებულია მთის ქედით), რამდენიმე ეკლესიისა, სალოცავისა და სხვა შენობათა გარდა შენახულია აგრეთვე ძველ შენობათა გძელი კომპლექსი ეპისკოპოსის სენაკებითა და მონასტრის ცხოვრებისთვის საჭირო ბინებით. ეს კომპლექსი მდებარეობს ზედ ხრამზე, რომელიც მიმართულია სამხრეთით, ალაზნის ველისკენ. უკიდურესი შენობა დასავლეთისკენ ეპისკოპოსის სენაკებს და დარბაზს წარმოადგენს.

ესაა ორსართულიანი შენობა, რომელშიაც ყოველ სართულს ჰქონდა საკუთარი დამოუკიდებელი შესავალი. ქვედა სართულს კარი აქვს დასავლეთით (მას ბრტყელი „ბალავარი“ აქვს და არც განიერია), ხოლო მის გვერდით არის ფანჯარა. ქვედა სართულიდან სამხრეთისკენ მიმართულია ოთხი ფანჯარა, ყველას ნალისებური ფორმის კამარა აქვთ. აღმოსავლეთისკენ ამ ქვედა სართულიდან მიდის ორი თანასწორი ზომის კამარიანი გასავალი, რომელთაგანაც თვითეულს თითქმის ორი მეტრის სიგანე აქვს. ზედა სართულში ჩრდილოეთის კარი მდებარეობს კედლის შუაში პირდაპირ მიწის დონეზე, რომელიც თანდა-

---

[1]) აქ დართულ გეგმებს მხოლოდ წინასწარი მნიშვნელობა აქვთ; ზომა ვაჩნაძიანსა და იყალთოში აღებულია მხოლოდ ნაბიჯით. გეგმის შესრულების დროს სამი ნაბიჯი ჩაითვალა 2,60 მეტრად და შემდეგ ყველა გეგმა შესრულებულია ერთი მასშტაბით 1 : 200, ე. ი. ორი მეტრი უდრის ერთ სანტიმეტრს. ვაჩნაძიანში აქვარელით დახატული „პალატის“ სურათი შესრულებულია ხელოვნების მეცნიერების კაბინეტის ხუროთმოძღვრის ნ ი კ. ს ე ე რ ო ვ ი ს მიერ და მის მიერვე გაკეთებულია გრაფიკული პირი ამ გამოცემისათვის. მან აგრეთვე გადაიღო ამ გამოცემისთვის ესკიზის პირი, რომელიც მან ნეკრესის მონასტერში შეასრულა. ჭერემის ნანგრევისა და იყალთოს აკადემიის ნახატები კი მანვე დახატა ფოტოგრაფიული სურათებიდან.



სურ. 1. ნეკრესელის სასახლე დასავლეთიდან.

თან მაღლდება ბუნებრივად შენობის დასავლეთ კუთხიდან. ზედა სართული ერთ დიდ დარბაზს შეადგენდა. იგი ქვედა სართულზე რამდენადმე ვიწროა და სამხრეთით, ალაზნის ველისკენ, ხუთი ერთმანეთისგან თანაბრად დაშორებული ფანჯარა აქვს. დასავლეთით და აღმოსავლეთით აქვს ორპირი დიდი კამარა, ხოლო მათ თავზე აქვს კიდევ პატარა კამარიანი ფანჯარა ფრონტონის ზემოთ. ამ ორი სართულის სხვა და სხვა ადგილებში დატანებულია წალოები, თაროები, პატარაებიც და საკმაოდ დიდებიც; ამ უკანასკნელთაგან ორი აღნიშნულია კიდეც გეგმაში.

ნეკრესში დარჩენილია ერთი მეტად მნიშვნელოვანი საამშენებლო ნაწილი, რომელიც არც ერთ დანარჩენ შენობაში არ შენახულა. სახელდობრ, ქვედა სართულის შუაში დგას რვა-წახნაგიანი სვეტი, რომელსაც შემდეგში მიუშენეს კედლები. ამ სვეტზე დამყარებული ყოფილან სიგრძის მთავარი კოჭები, რომლებზედაც დაყრდნობილი უნდა ყოფილიყო ქვედა სართულის ჭერი და ზედა სართულის იატაკი. განდაგანი კოჭები დამყარებული ყოფილა ჩრდილოეთ კედლის სიგრძეზე კედლის განიერ სანალეზე (ეხლა მასზე გავლა შეიძლება), ხოლო სამხრეთის კედლის სიგძეზე მყარებულა მის ორ მესამედზე მიშენებულ კედელზე, რომელიც აღნიშნულია გეგმაზე განსაკუთრებული ხაზით. მთელი შენობის სახურავი ორგვერდიანი ყოფილა; ეს ნათლად ჩანს დარჩენილ მოკლე კედლების სამკუთხიანი მწვერვალებიდან.

ხუროთმოძღვრების ფორმების მხრივ აქ მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ყველა კარსა და ფანჯარას, გარდა ყველა სართულის ერთი კარისა, მალები ნალისებური ფორმის კამარითა აქვთ. ეს კამარები მეტად დიდებია და იწყებიან ზედა სართულში პირდაპირ იატაკის პირიდან, ხოლო ქვედაში—ცოტათი იატაკს ზემოთ.

აღმოსავლეთით ამ ეპისკოპოსის ორსართულიან სასახლეს ზედ აკრავს ერთსართულიანი, ოდნავ გაგრძელებული შენობა 4 დიდი ნალისებური ფორმის კამარით სამხრეთისკენ თითქმის იმავ ზომისა, როგორც ეპისკოპოსის სენაკებში. ჩრდილოეთით კუთხეს იქით კიბე ადის, რომელიც სწყდება ჩიხში, პირველად-კი იგი, აშკარაა, ადიოდა მონასტრის ეზოს ზევითა დონემდე. აღმოსავლეთით აწერილ ბინიდან კარი გადის, ხოლო იატაკში ჩამარხულია დიდი თიხის ქვევრები, და ცხადია, აქ ჩვენ მარანთან გვაქვს საქმე. სამხრეთი კედელი ამ მარნისა და აგრეთვე ჩრდილოეთის კედელი, რომლის ზემოთაც კიბის ხაზზე აუშენებიათ (მე-XVII—XVIII საუკუნეში) ოთხსართულიანი კოშკი, აღწევენ მხოლოდ ეპისკოპოსის სახლის ქვედა სართულის სიმაღლემდე. აქ გაკეთებული ყოფილა ჭერი და ბანი. აქ ბანი ყოფილა, და არა სხვა გვარი სახურავი, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაჰფარავდა ორპირ კამარას ეპისკოპოსის დარბაზიდან. ეს ბანი ამნაირად უეჭველია ტერასა ყოფილა დარბაზისათვის.

კიდევ უფრო შორს, აღმოსავლეთით, მარანს იქით არის დარბაზი, რომელშიაც დღემდეა შენახული შუაზე ბჳე-კამარა (საყრდნობი კამარა). ეს არის, ეტყობა, მონასტრის ძველი საოსტიგნე (სასადილო) უშუალოდ დაკავშირებული მარანთან, რომელზედაც მას ჰქონდა შინაგანი შემოსასვლელი დარბაზიდან; და ქვე-



სურ. 2 ტ 3. ნეკრესელის სასაბლე. გეგმები პირველი და მეორე სართულისა.



მოთ, თავის იატაკ ქვეშ და მის გვერდით, უფრო აღმოსავლეთით მდებარე ოთახებს ქვეშ, მას რამდენიმე სარდაფი ჰქონდა კამარა-შეკრული სახურავებით და მხოლოდ პატარა ჭუჭრუტანებით ფანჯრების მაგიერად. ამ დარბაზს იქით მდებარეობდა ალბათ ბერების საერთო საცხოვრებელი.

2. ნეკრესის ეპისკოპოსის სასახლის მსგავსი ნანგრევი დგას აგრეთვე სოფ. **ვანთაში**, შუა სოფელში, რომელიც მდებარეობს 10—12 ვერსტის მანძილზე თელავიდან. ესეც ორსართულიანი ყოფილა; გძელი ფასადით იგი მიმართულია იმ ხევისკენ, რომელიც სოფ. ვანთას ჰყოფს სოფ. აკურისგან, ხოლო მოკლე ფასადით, რომელსაც ორი დიდი ნალისებური ფორმის კამარა აქვს ზედა სართულში, მიმართულია აღმოსავლეთით, მდინარე ალაზნის ფართე ველისკენ. ქვედა სართულის აღმოსავლეთ ნაწილში არის პატარა ოთახი, ხოლო დასავლეთ ნაწილში დიდი ოთახი. ორსავ ოთახს აქვს ბუხრები და წალოები-თაროები კედლებში. სამწუხაროდ, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ამ ნანგრევის უფრო დაწვრილებით გამოკვლევა არ შემეძლო. გამოუკვლეველი დარჩა ამ სასახლის ხასიათიც. ვინაიდან ამ სოფელში ფეოდალები არ არიან და თითონ სასახლეც ამ ჟამად გლეხს ეკუთვნის, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს შენობა საეკლესიო მამულის ნაწილს შეადგენდა.

3. ერთი ნანგრევი ეპისკოპოსის სასახლისა შენახულია კიდევ **ჰერეთის** საეპისკოპოსო ტაძრის გალავანში ზევით მთაში, ამავ სახელის სოფელში, შიგნით და გარე კახეთის საზღვარზე. ამ სასახლისგან დარჩენილია მხოლოდ ერთი კედელი ორსართულიანი შენობისა, რომელიც ჰერეთის წყალის ხეობის ფერდობს ზემოთ დგას და მასვე დასცქერის. გადარჩენილია შუალა ნაწილი ამ გრძელი კედლისა; მას განსაზღვრულად ხაზგასმული შუა ღერძი აქვს, რომელიც ორივე



სურ. 4 და 5. პერეთის სასახლე. გეგმები პირველი და მეორე სართულისა.

ხახარეს სიმეტრიულად ჰყოფს. გარედან ამ შენობას სწორე კედელი აქვს ტრაპეციის მსგავსი შვერილით შუაში. ქვედა სართულში შენობის შიგნიდან კამარები აქვს, რომელთაგან შუალა დიდია, ღრმა წალოთი შვერილში და მასში ფანჯრით, რომელსაც ბრტყელი „ბალავარი“ აქვს. შუალა კამარის გვერდით ორსავ მხარეს კამარები მხოლოდ კედლის დეკორატიულ მორთულობას წარმოადგენენ, დანარჩენთ კი აქვთ დატანებული თითო პატარ-პატარა ფანჯარა. ზედა სართული შესაშ-

ნევად მაღალია ქვედა სართულზე, როგორც ნეკრესსა და ვანთაში, და მეტად დიდი კამარები აქვს, $2^{3}/_{4}$ მეტრი სიგანით. შუალა კამარა ფარგლავს გეგმით ნახევრად-მრგვალს ნიშას კონქით. ეტყობა, ამ ნიშას ჰქონია ფანჯარა— ეს ცხადად არა ჩანს, რადგან შენობა ძლიერაა დანგრეული. გვერდის კამარები შემდეგში ამოუყვსიათ. ყველა კამარებს ამ სასახლეში, ისე როგორც ნეკრესსა და ვანთაში, ნალისებური ფორმა აქვთ. მეორე სართულის იატაკი და პირველის ჭერი ეყრდნობოდენ ხის



სურ. 6. ჰერემის სასახლე. შიგნითი სახე.

კოჭებზე, რომელთა ბუდეებიც შენახულია ერთი მეორისგან თითო მეტრის სიშორეზე.

სასულიერო ფეოდალთა სასახლეებს გარდა დარჩენილია აგრეთვე საერო ფეოდალთა სასახლეებიც, სახელდობრ ეხლანდელ სოფ. ვაჩნაძიანის ზემოთ და კვეტერის ციხეში.

4. სოფ. **ვაჩნაძიანის** დასაელეთ მხარეს, მის საზღვარს ზემოთ გაშლილ ველზე მდებარეობს ეგრედ წოდებული „პალატი". პალატის სამხრეთი გრძელი ფასადი მიმართულია მის ქვემოთ მიმდინარე ვაჩნაძიანის ხევისკენ, ხოლო აღმოსაელეთ ორპირ კამარას წინ აქვს ფართე, შორი ჰორიზონტი ალაზნის ველისა გრემ-საბუე-შილდა-ნეკრეს-ყვარლით გაღმა მხარეს. რადგან ეს პალატი მაღლა დგას, მისი გადასახედებიც შორი, ფართე და გაშლილი არის.

პალატი ორსართულიანი შენობაა, შემდგარი სამ-სამი ნაწილისგან მწკრივად ყოველ სართულში. ქვედა სართულს მეორე ხარისხის მნიშვნელობა უნდა ჰქონო-



სურ. 7 და 8. ვაჩნაძიანის პალატი. პირველისა და მეორე სართულის გეგმები.

და. შუალა ოთახს ორსავე მხარეს ფართე შესავლები აქვს. ამ შესავლებიდან აღმოსავლეთით და დასავლეთით ფართე კამარები ჩანან სიგანით ხუთ-ხუთი ნაბიჯი. ქვედა სართულის ორსავე ოთახს თითო ბუხარი აქვთ. მეორე სართულის კედლები ნაწილობრივ დანგრეულია, ასე რომ არ შეიძლება იმის თქმა, თუ როგორ იყო ერთმანეთთან შეერთებული იქ მდებარე სამი ოთახი. მაგრამ ფასადების განაწილება ცხადია: აღმოსავლეთით ორპირი ძლიერი კამარა, ხოლო სამხრეთით დიდი დარბაზიდან ოთხი კამარა, შემდეგ ერთი უფრო ფართე ქვედა სართუ-



სურ. 9. ვაჩნაძიანის პალატი.

ლის შესავალის თავზე და, დასასრულ, დასავლეთ ოთახიდან ორი კამარა იმავე ზომისა, როგორც აღმოსავლეთ ოთახში. მეორე სართულის იატაკი აქაც გამაგრებული ყოფილა ხის კოჭებზე, რომელთა ბუდეებიც დღესაც ჩანს კედლებში.

მეორე სართულის კამარები აქაც პირდაპირ მიწის დონედან იწყებიან. ამ კამარების ფორმა განსხვავდება იმ ფორმისაგან, რომელიც სხვა სასახლეების კამარებში მოგვეპოვება. იგი თითქმის ნახევრად მრგვალია, ოდნავ გაგრძელებული ზევითკენ და ოდნავ გადატეხილი მწვერვალში.

ბ. ამ ჯგუფის უკანასკნელი სასახლის შენობა კახეთში შენახულია ძლიერი ციხის შიგნით, რომელიც კახეთს დასავლეთის მხრიდან დაცემისგან იცავდა და იქნებ სატევადაც იყო დანიშნული ქართლის მხარეს ჰეგემონიისთვის ბრძოლის ზანაში—სახელდობრ კვეტერაში, ანუ, როგორც ძველად ერქვა, კუეტარის ციხეში, რომელიც ილდაკანის ქედის ტოტის მწვერვალზე მდებარეობს, თელავიდან თიანეთისკენ მიმავალ გზაზე, მდინარე ილტოს ნაპირას, ასე 10 ვერსტის მანძილზე

სოფ. ახმეტიდან. ამ ციხის აკროპოლში, ჩრდილოეთ-დასავლეთით ამავ ციხის კობტა ეკლესიიდან, შენახულია ნანგრევი დიდი სასახლის დარბაზისა და რაღაც შენობებისა, რომლებიც მის გვერდით მდებარეობდენ. უკანასკნელებზე ამ ჟამად რაიმე წარმოდგენის შედგენა შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ ხშირი ტყე მთელ ციხეს ჰფარავს; იქნებ გათხრამ გამოარკვიოს რამე.

ძირითადი ტანი სასახლისა აქაც ორსართულიანია და აგრეთვე თითქმის ქთის მწკერვალის ხრამზე მდებარეობს. ეგ კია რომ ძირითადი ფასადი სასახლისა





სურ. 10 და 11. კვეტერის ციხე. სასახლის პირველი და მეორე სართულის გეგმები.

აქ გიმართული ყოფილა ციხის შიგნით სამხრეთისკენ და ოთხი კამარა ჰქონია ზედა სართულში. მოკლე ფასადებზე ორი დიდი კამარა ჰქონია აღმოსავლეთით ალაზნის მხარეს და დასავლეთით თიანეთის მხარეს. ხოლო ჩრდილოეთისკენ ამ დარბაზიდან პატარა კარი პრტყელი „ბალავარით“ გადის, რომელიც, ეტყობა, იქვე მდებარე შენობის ერთ-სართულიან ნაწილის პრტყელ ბან-ტერასაზე გადიოდა.

ქვედა სართულს მეორე ხარისხოვანი ხასიათი აქვს ისე, როგორც ყველა სხვა სასახლეებში. მისი ოთახები უფრო დაბალია, განათებულია ცოტაოდენი ფანჯრებით, რომლებიც ჩვეულებრივ ნაკლებ ზომისანი არიან. სამხრეთიდან აქ შესავალია, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში ორი ბუხარია, ერთი დიდი, კამარიანი, მეორე კი პატარა.

ამ სასახლის კამარებს ისეთივე ფორმები აქვთ, როგორც ვაჩნაძიანში, ე. ი. თითქმის ნახევარ ფარგლის ფორმა, ოდნავ გაგრძელებული და ოდნავი ტეხილით. ეს კამარები მაღლებია, დიდები. მეორე სართულში ესენი იატაკიდან იწყებოდენ და შემოვლებულნი იყვნენ კიდევ მეორე დამატებული უფრო ფართე კამარით, როგორც ფასადზე, ისე შიგნიდანაც, რაც მათ უფრო შესამჩნევად და დიდებულად ხდიდა.

ს. აწერილ სასახლეების შენობათა ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე შენობა **აკადემიისა**, უმაღლესი სკოლისა, რომელიც დავით აღმაშენებლის მეფობაში (1089-1125 წწ.) იყალთოს მონასტრის ცნობილი მოღვაწის არსენი იყალთოელის ხელმძღვანელობით ყვაოდა. შემდეგი ორი ნაწილი ამ უზარმაზარი შენობისა, რომელიც ზედ მონასტრის კედელთან მდებარეობს, ეხლა შენახულია ისე, რომ მათი გარჩევაც შეიძლება. ერთი დიდი ორსართულიანი ტანი აღმოსავლეთის და დასავლეთის ფრონტონიანი კედლებით და შეჩდეგ მეორე ვიწრო, გძელი ტანი (დიდის აღმოსავლეთით). დიდ ტანს შენახული აქვს ორივე სართული, რომლებიც აქაც ისე განსხვავდებოდენ, როგორც სასახლეებში: ზევითაში ყოფილა ოფიციალური, საზეიმო დარბაზი მთელ მის სიგძეზე, ქვევითაში-კი ორი ოთახი. ზედასართულის გძელი ჩრდილოეთი კედელი ამ ჟამად დანგრეულია და ამიტომ ჩვენ არ ვიცით, როგორ იყო განაწილებული ეს ფასადი. სამაგიეროდ ორივ ნოკლე მხარე დგას ეხლაც. აღმოსავლეთ კედელს აქვს ორი დიდი მაღალი კამარა, შეერთებულნი ჯ-წახნაგიანი სვეტით, სიმეტრიული განაწილება იყო დასავლეთის ფასადზეც (ამ ჟამად ეს კამარები ამოშენებულია). ამას გარდა დასავლეთის კედელში სამხრეთის კედლის ახლო იყო პატარა კარი გარეთ, რომელთანაც, ვგონებ, კიბე ადიოდა (იმისი კვალი, რომ აქ ყოფილიყოს ღია ტერასა, მე ვერ ვიპოვე). სამხრეთის კედელში, რომელიც ყრუა მთელ სიგძეზე, არის პატარა არქატურა.

ამ დიდი დარბაზისგან განსხვავდება ქვედა სართული; ჩვენ იქ გარდიგარდმო კედელს ვხედავთ პირველი სართულის სიმაღლეზე; იგი ვიწრო აღმოსავლეთის ნაწილს გაჰყოფს უფრო გრძელი დასავლეთის ნაწილისგან, რომელიც არავითარი გასაელით არ უერთდებოდა მას. ყოველ ამ ოთახთაგანს თითო ფართე შესავალი აქვს ჩრდილოეთიდან და ეტყობა სამხრეთიდანაც მათთან სიმეტრიულად (უკანასკნელი მალები ამოშენებულია). აღმოსავლეთის ვიწრო ოთახს კიდევ პატარა კარი აქვს აღმოსავლეთიდან, დასავლეთისას აქვს ფანჯრები ჩრდილოეთით, ხოლო მის აღმოსავლეთის კედელში გამართულია სამპირი არქატურა პატარა წვალებით ყოველ კამარაში.

ქვევითა სართულის ვიწრო გძელ გალერეას, ჩრდილოეთისკენ (ე. ი. სულმონასტრის ეზოს შიგნითკენ, ეკლესიებისკენ) მიმართულს ოთხი კამარით, ჰქონია კიდევ მეორე სართულიც, რომლისგან იმდენად საკმაო ნაწილი არ დარჩე-

ნაღა, რომ მისი გეგმის აღდგენა შეიძლებოდეს. ყოველი კამარა გალერეისა სწორკუთხიან ბინაზე გადის, რომელიც შეერთებულია მეზობელ ბინებთან აგრეთვე კამარებით და გადახურულია ჯვარისებური თაღით. ამ შენობის ყველა კამარებს სწორი ნახევარფარგლის ფორმა აქვთ და მხოლოდ აღმოსავლეთი ფასადის უზარმაზარ ორპირ კამარებს სუბუქი ტეხილი ეტყობათ მის ოვალურ ხაზში.

ამ შენობის ფორმები სავსებით ზემოაწერილ სასახლეებს ჰგვანან. მაგრამ მაინც შეუძლებელია, რომ ეს ყოფილიყო სადგომი მონასტრის წინამძღვრისა, რადგან ასეთი სადგომი მოთავსებულია აქ ფერისცვალების მთავარ ეკლესიასთან, რომელიც მე-X საუკუნის დასასრულს უნდა იყოს აშენებული, და რომლიდანაც ფან-



სურ. 12. იყალთოს აკადემია (აღმოსავლეთიდან).

ჯარა იღება ეკლესიაში, ასე რომ წინამძღვარს შეეძლო წირვა-ლოცვას პირდაპირ თავის სენაკიდან დასწრებოდა.

შესაძლოა, იყალთოს აკადემიის პარალელიც მოგვეპოვებოდეს. დასავლეთ საქართველოში, გელათის მონასტერში შენახულია აგრეთვე ერთი გამოჩენილი ნანგრევი უზარმაზარი გძელი დარბაზისა ფანჯრის კამარებით. იგი მდებარეობს დასავლეთ ხრამზე და აქვს დამატებითი ბინები. სამწუხაროდ ეს ძეგლი სრულიად არ არის გამოკვლეული და მისი დანიშნულების შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვს. რომ იქ არ იქნებოდა საოსტიგნე, იქიდანა ჩანს, რომ ასეთი საოსტიგნე არის წყაროსთან და მის თავზე სალოცავიცაა. ხოლო რომ გელათის მონასტერში საქართველოს აყვავების ხანაში, მე-X—XII საუკუნეებში, აკადემია არსებობდა, ეს ამ ჟამად მტკიცედ დამყარებული ფაქტია[1]. აძნაირად ბუნებრივად იბადება დას-

[1] იხ. კარის გარიგება, ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემა (Monumenta Georgica IV. Leges, № 1). ტფილისი 1920, გვ. XXIX—XXXIV.



სურ. 13 და 14. იყალთოს აკადემია. გეგმები პირველი და მეორე სართულისა.

კვნა, რომ გელათის მონასტერში შენახულია აკადემიის შენობის ნაშთები. აკადემია იმ დროს იყო არა თუ მარტო სასწავლებელი, არამედ სამეცნიერო დაწესებულებაც, სადაც იკრიბებოდენ სპეციალისტები, მეცნიერების წარმომადგენელნი საკითხების განსახილველად და გადასაწყვეტად. ასეთი ხასიათი თვით გელათისა და იყალთოს მონასტერთა აკადემიების შენობებს ემჩნევა. იყალთოს უზარმაზარი ზედა დარბაზი, სიგძით 20 მეტრზე მეტი, სწორედ შეეფერება ასეთი საზეიმო კრებებისა და სხდომების დარბაზის დანიშნულებას და ამნაირად აქ მხრივაც სრულს პარალელს შეადგენს სასახლეთა მიღებისა და გამოსვლებისათვის დანიშნულ დარბაზებთან.

II.

აქ მოკლედ აწერილი საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები წარმოადგენენ, როგორც ვნახეთ, ერთისა და იმავე ტიპის შენობებს, ერთნაირ საზოგადო ფორმით აგებულს. ფორმების ამ ერთნაირობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რადგანაც იგი გვიჩვენებს, რომ ეს შენობები ერთი და იმავე ხანისა უნდა იყვნენ. მათი აშენების დროს გამორკვევას ჩვენ ეხლავე უნდა შეუდგეთ და ამის შემდეგ გამოვყოთ ის, რაც ამ შენობებში წარმოადგენს ახალს, თავისებურს საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებთან შედარებით. ქრონოლოგიური დატის გამოსარკვევად ჩვენ უნდა გამოვყოთ ის თვისებანი, ის სააშშენებლო ელემენტები, რომლებიც საერთონი არიან კახეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებისთვისაც და მისი შემწეობით ამ ძეგლების აშენების თარიღი შეგვიძლიან ვაკუთვნოთ განსაზღვრულ დროს [1].

ჩვენ ვნახეთ, რომ გარდა აქა-იქ დარჩენილის პატარა ბრტყელი კარებისა, აწერილ სასახლეებში ყველა კარსა და ფანჯარას აქვთ კამარები. ეს კამარები სხვადასხვა ფორმისაა. ერთი მხრით ჩვენ ეხედავთ ნეკრესსა, ვანთასა და ჰერეთში ნალისებურ ფორმას, ხოლო მეორე მხრით, ვაჩნაძიანსა და კვეტერაში ოდნავ ოვალურს ასეთივე ოდნავი ტეხილით. კამარების ორივე ეს ტიპი ხმარებაშია კახეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრებაშიც. ნალისებური კამარის ხშირი ხმარება თავდება მე-IX საუკუნეში; მე-X საუკუნეშიაც ხმარობენ მას აქა-იქ, მაგრამ ეს წვრილი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ამ ფორმას თავისი დრო უკვე მოჰმული ჰქონია.

ქრონოლოგიური დატების გამოსარკვევად მეორე მნიშვნელოვან ელემენტად უნდა ვიცნათ სასახლეების საშენი მასალა. იგი ყველგან ერთნაირია, სახელდობრ რიყის ქვა და აქა-იქ წვრილ-წვრილი ნაგლეჯი ქვა. მასალა კახეთის შენობებში განსაზღვრულად გვიჩვენებს ეტაპებს. ჩვენთვის პირველად ხელმისაწდომი ხანის შემდეგ, როდესაც ძლიერი იყო შემოქმედებითი აღმაფრენა ნათელი ხელმძღვანელი ელემენტებით, დგება ხანა ძიებისა გამოსავალ სამხატვრო მოტივების ამოწურვის

[1]) ეს ცნობები მოგვყავს აქ, რასაკვირველია, როგორც მხოლოდ დასკვნითი ი ეზისები კახეთის ხუროთმოძღვრების ძეგლების საზოგადო გამოკვლევიდან, სადაც აქ განხილულ შენობათა ჯგუფი მოკცეულია მეთერთმეტე თავში. „კახეთის ხუროთმოძღვრება" შეადგენს მეორე ტომს ჩემის გამოკვლევისას Untersuchungen zur Geschichte der georgischen Baukunst (ხელნაწერი).

გამო. ამავე გაუბედაობის დროს ჩვეულებრივ კახურ საამშენებლო მასალას (რიყის ქვას) შენობის მნიშვნელოვანისა და პასუხისმგებელი ნაწილებისთვის უმატებენ აგურს, როგორც სრულიად თანასწორი ზომის საშენ მასალას. რაც წამს ამ დროის ძიებამ შეიმუშავა ტაძრის ახალი ძირითადი ტიპი, მიატოვეს აგური და ტაძრებს აგებენ რიყის ქვითა და შირიმის თლილი ქვით გარეგან. დასასრულ, კახეთის ხუროთმოძღვრების უკანასკნელი ხანა საშენ მასალად ხმარობს მხოლოდ და მხოლოდ წვრილი კვადრატული ფილების აგურს. ეს ხანები შემდეგ დროს ეკუთვნიან: ახალი დრო მე-XIV საუკუნიდან; საშუალო ხანა მე-X XII საუკუნემდე; ძიების დრო ორნაირი საშენი მასალით მე-VIII—IX საუკუნეები. აი სწორედ მე-IX X საუკუნის დროს შეიძლება ვაკუთვნოთ ჩვენი პირველი სასახლეები. გაუბედავი ძიება უკვე გათავებულია და დამოუკიდებული კომპოზიციები იწყება. ამის შესახებ დამატებით ცნობებს ვპოვებთ თითონ ძეგლებში. ნეკრესის მონასტერი თანდათან გაიზარდა და გადიქცა იმ შენობათა (რიცხვით 15-მდე) რთულ კომპლექსად, რომელსაც ეხლა ვხედავთ. გამოსავალ წერტილს წარმოადგენს უძველესი ბაზილიკა (მე-VI საუკუნისა), შემდეგ მე-VIII საუკუნეში გაჩნდა დიდი სამ-ეკლესიანი ბაზილიკა და, დასასრულ, მე-IX საუკუნის ნახევარში მონასტრის გუმბათიანი ეკლესია. უკანასკნელი აშენებულია სხვებზე მოშორებით და მონასტრის ეზოდნის დასავლეთ ნაპირას; მის ახლოს აშენებულია უფრო გვიან საცხოვრებელი სადგომები. ზემოთ აწერილი სასასლის შენობა ძველი მარნით, საოსტიგნითა და ბერების საცხოვრებლით მდებარეობს სწორედ პირველი ორი ეკლესიის წინ, ე. ი. ის აგებულია უფრო უწინ, ვიდრე მონასტერი გაფართოვდებოდა დასავლეთისკენ, რადგანაც იგი ამთავრებს პირვანდელ მონასტრისთვის საჭირო შენობათა წრეს. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, მისი აშენება ჩვენ შეგვიძლიან ვაკუთვნოთ მე-IX საუკუნის პირველ ნახევარს. ამ დასკვნას აგრეთვე ჰერემის სასახლეც ამტკიცებს, რომელიც აგებულია მარტო რიყის ქვისგან, როდესაც იქვე მდგომი საეპისკოპოსო საყდრის უმთავრესი ნაწილების წინაპირი აშენებულია თლილი შირიმის ქვით. ტაძარი აშენებულია მე-X—XI საუკუნეში, სასახლე კი, მაშასადამე, იმაზე ადრე.

ვაჩნაძიანისა და კვეტერის სასახლეები შეადგენენ ერთმანეთს შორის უფრო მჭიდრო ჯგუფს, ისე როგორც ნეკრესი და ჰერემი. რასაკვირველია, ოდნავ-ოვალური კამარის ხმარება ოდნავი ტეხილით ჯერ კიდევ არ გულისხმობს უფრო გვიან დროს. მაგრამ ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მათი ხუროთმოძღვარნი ნალისებური კამარის ხმარებას გვერდზე სტოვებენ, უარსჰყოფენ და პირიქით ოვალურ კამარას ხმარობენ, რომელსაც ძლიერ აფასებდენ მეტადრე მისი დეკორატიული თვისებისთვის სწორედ მე-VIII—IX საუკუნეში და რომელიც მე-X საუკუნეშიაც მოფიქრებითაა შეტანილი ალავერდის ტაძრის კომპოზიციაში, მე სრულიად ეჭვს გარეშედ ვთვლი, რომ აქ ამ თუმცა ნიშვნელობით არა პირველ ხარისხოვან სასახლეებში, მაგრამ მაინც საგანგებოდ შეკვეთილებში არა უბრალო ხუროთმოძღვარნი მუშაობდენ, არამედ კარგად მცოდნე პირნი. ამიტომ მათ არა გაცვეთილი შაბლონი, არა სასკოლო მაგალითი გამოიყენეს, არამედ ისეთი ყველაზე უფრო ახალი მოვლენა, რომელსაც მაშინ მეტად აფასებდენ ფორმების მხრივ, როგორიც იყო ეს კამარები. და მართლაც, ამას სხვათა შორის ეხმიანება

ის ფაქტიც, რომ კვეტერაც, როგორც ციხემ, მე-XI საუკუნეში თავი იჩინა, როდესაც სწორედ ააშენეს აქ პატარა კოხტა ეკლესია მთლად თლილი შირიმის ქვისგან და კიდევ რამდენიმე შენობა. ვაჩნაძიანის პალატებს ახლოს იყო აშენებული უფრო გვიან სამ-ეკლესიანი ბაზილიკა აგრეთვე სასახლისთვის, ისე როგორც კვეტერაში: იგი ეკუთვნის მე-X—XI საუკუნეს. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ჩვენ უფლება გვაქვს ეს ორი ფეოდალური სასახლე მე-X საუკუნეს ვაკუთვნოთ.

დასასრულ, მესამე ქრონოლოგიურ საფეხურს წარმოადგენს აკადემიის შენობა იყალთოში. ნაში სრულიად არაა ნალისებური კამარა, ხოლო ოვალური შერჩენილია მხოლოდ გვერდის ფასადების ფრონტონებს ქვეშ. ყველა დანარჩენ შემთხვევებში კი (ხოლო ასეთი შემთხვევები აქ მეტად მრავალია კედლების წალობის წყალობით) აქ ნახევარ ფარგლიანი კამარაა ნახმარი, რომელიც ყველაზე ძლიერაა გავრცელებული და რომელიც რაიმე საგანგებო ეფექტების მოხდენას არა ცდილობს. ხოლო სიდიადისა და მშვენიერობის შთაბეჭდილებას ხუროთმოძღვარი ახდენს მხოლოდ შენობის ზომითა და მისი ნაწილების პროპორციით. მაგრამ არის უფრო მკაფიო მაჩვენებელი იმისი, რომ საშუალო ხანას ჰქონდა სხვა მისავალიც თავის ამოცანასთან, რომ ამ ხანას უყვარდა დეკორატიული გარეგნობა. ასეთებია სპეციალურად დეკორატიული არქიტექტურა შენობის შიგნით და მეტადრე 8-წახნაგიანი სვეტი გვერდის ფასადზე. აგრეთვე ჯვარისებური თაღის მოხმარება გაგრძელებულ სწორკუთხიან (არა კვადრატულ) საფუძველზე ღია გალერეაში უფრო გვიანი საქმეა. ყველა ეს რამოდენადმე ცალკე აყენებს აკადემიას, ქრონოლოგიურად აყენებს მას ვაჩნაძიანისა და კვეტერის სასახლეების შემდეგ, რომლებთანაც მას მაინც საერთო თვისებანიც აქვს. მართლაც და, აკადემიის აყვავება, მისი სახელის განთქმა არსენი იყალთოელის მოღვაწეობის დროს ეკუთვნის, იქნებ აქედანვე იწყებოდეს კიდეც[1]. ხოლო არსენი იყო თანამოღვაწე მეფე დავით აღმაშენებლისა (1089—1125). სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, აკადემიაც შეიძლება იყოს მე-XI საუკუნის შენობა, იქნებ მე-XII საუკუნის დასაწყისისაც.

ჩვენი სასახლეების ძეგლებს, აშენებულთ მე-IX საუკუნიდან მე-XI-მდე, აქვთ ერთი პარალელი, აგებული აღმოსავლეთის გავლენის ქვეშ. ესაა გადარჩენილი ნანგრევი საშუალო საუკუნეების დროს წინა აღმოსავლეთში აგებული სასახლეების შენობებიდან, ერთად-ერთი შესაძენევი ბიზანტიურ ძეგლთაგან კოსტანტინეპოლში, ეგრეთ წოდებული თექირ ან თექვურ-სარა. როგორც ეხლა გამორკვეულია, ესაა ნაწილი ვლახერნის სასახლის უბნისა და კერძოდ თითონ ვლახერნის სასახლისა[2]. თექვურ-სარა სამსართულიანი შენობაა უზარ-

---

[1]) ამ გადმოცემას აკადემიის შესახებ გვიამბობს უკვე თეიმურაზ ბატონიშვილი (ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა, სპბ., 1848 წ., გვ. 282—283); აგრეთვე პლ. იოსელიანსაც გაუგონია იგი (Путевыя записки по Кахетіи. Тифлисъ 1846, გვ. 89).

[2]) უფრო ძველი ლიტერატურა შეკრებილი აქვს ზალცენბერგს (Altchristliche Baudenkmale von Constantinopel vom V bis XII. Jahrhundert. Berlin 1854—1855, S. 124—128 und Taf. XXXVII, XXXVIII), შემდეგ ნიკ. კონდაკოვს (Византійскія церкви и памятники Константинополя: Труды VI-го Археологическаго съѣзда въ Одессѣ, т. III. 1887, стр. 198, 201-203 и табл. 23 и 24) და ახლა კორნ. გურლიტს (Die Baukunst Konstantinopels. Berlin 1907. SS 7a—8b, 97b. Abb. 17—24 und Tafeln IX—XIII). რომელიც ოთხ დეტალურ გეგმას, სამს სხვას ნახაზებს და ხუთს დიდ ფოტოგრაფიულ სურათს იძლევა. კონდაკოვი loc cit, გვ. 202) აღნიშნავს, რომ ამ დარბაზების შენობის გარდა შენახულია მარჯვენა ერთის ნაწილები ასეთივე არქადით და შემდეგ კიდევ მეორე ტანი წინიდან.

მაზარი დარბაზებით მეორესა და მესამე სართულში (25×10 მეტრი), რომელთაც ჩრდილოეთისაკენ აქვთ მთელი რიგი ვეება კამარების და შორი გადასახედი ოქროს რქის სრუტით თითქმის ბოსფორამდე. მესამე სართულს აქვს კიდევ ღია აივანი, რომელიც გადადის ციხის კედელზე, ისე როგორც მეორე კედელზეც გასასვლელია მეორე სართულიდან და გადასახედი აქვს იმავე ხარეს. ამნაირად ამ სასახლეში ძირითადი ფორმები—ვეება დარბაზები მთელი სართულის სიგძეზე და რიგი კამარებისა, რომლებიც იწყება იატაკიდან, ვიწრო ფასადები ფრონტონებითურთ ორგვერდიან სახურავ ქვეშ, ხის იატაკი კოპებზე და, დასასრულ, თვით პრინციპი ადგილის არჩევისა—უახლოვებენ მას ჩვენებურ სასახლეებს. ტყუილად-კი არ ამბობდენ უკვე წინანდელი მკვლევარნი, რომ ვლახერნის სასახლის ამშენებელნი ეჯიბრებოდენ ბაღდადის ხალიფების სასახლეების მაშენებელთაო[1]. ხოლო უფრო ახალი მკვლევარნი ამბობენ, რომ მასში გამოჩნდა აღმოსავლეთის გაძლიერებული გავლენაო[2]. ყველა ეს მკვლევარნი თანახმანი არიან, რომ თექვურ-სარა აშენებულია არა უადრეს მე-IX საუკუნის ნახევრისა და არა უგვიანეს მე-XII საუკუნის დასაწყისისა, როდესაც იმპერატორ მანუელ კომნენის დროს (1143—1180) მას მიუშენეს ქალაქის კედელი; უფრო განსაზღვრულად მას აკუთვნებენ იმპერატორ კოსტანტინე მე-VII პორფიროგენეტის მეფობას (912—959 წწ.)[3], ე. ი. მას სწორედ იმავ ხანას აკუთვნებენ, რომელსაც ეკუთვნის ჩვენი სასახლეები.

აქ წარმოდგენილი ძეგლები საერო ხუროთმოძღვრებისა მწყობრ მწკრივად მე-IX საუკუნიდან მე-XI საუკუნემდე განაწილდებიან, ამასთანავე ესენი განსაზღვრულ სახეს, მტკიცე გარკვეულ ტიპს წარმოადგენენ. ანალიზით გაკორკვეული მათი აშენების დატები თექვურ-სარას პარალელით მტკიცდება. ეს მეტად მკაფიოდ ჩანს, თუ მათ უფრო გვიანა დროის სასახლის შენობებს შეუდარებთ, როგორიცაა პალატი მეფე ლეონისა (1514—1574) გრემში ანუ საბაფხულო სასახლე ფეიქარ-ხანისა (1616—1623) ალავერდში. ორივე აგებულია აგურით; ორივეში ბატონობს გვიანა სპარსულ ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი ელემენტები. ასევეა საქმე თელავის სამეფო სასახლეშიაც (XVII—XVIII სს.) და სხვა. ყველა ეს შენობები აგებულია სხვა მასალით და ყველა თავის ფორმებით სრულიად განსხვავდებიან ზემოაღწერილებისგან იმდენადვე, როგორც საეკლესიო ხუროთმოძღვრება XIV—XV საუკუნიდან მკაცრად განსხვავდება წინანდელი საუკუნეების ხუროთმოძღვრებისგან. დასასრულ, სულ სხვა გავლენას იჩენს მე-XVIII საუკუნის მე-70 წლების ეპისკოპოსის სახლი სოფ. ნინოწმინდაში, აშენებული მისი ეპისკოპოსის საბა ტუსიშვილის მიერ. ამ სახლის ყველა პროპორციები ორიგინა-

---

[1]) ზალცენბერგი, გვ. 126.

[2]) შარლ დილი, Manuel d'art byzantin, Paris 1910, p. 399.

[3]) გურლიტი, გვ. 7a და 7b. კონდაკოვი (გვ. 202) ფიქრობს, რომ თექვურ-სარა აშენებულია არა უადრეს IX—X საუკუნისა; ზალცენბერგი (გვ. 125) არა უადრეს IX საუკუნის პირველი ნახევრისა, ხოლო დილს პირველად იგი მიაჩნდა აშენებულად მე-X საუკუნეში (იხ. მისი Études byzantines, Paris 1905, p. 137), ხოლო მერე (Manuel, p. 397) უკვე XI ან XII საუკუნეში აშენებულად.

ლურად ემსგავსებიან იმავე დროის ევროპიულ interieurებს, როგორც ამას გარეკვის მრავალ მთის მონასტრებშიც ადგილი აქვს მე-XVIII საუკუნის დასასრულის სენაკებში და სრულიად განსხვავდებიან არა თუ მარტო IX—XII საუკუნეების სასახლეთაგან, არამედ თვით XVI—XVIII საუკუნეთაგანაც.

ეხლა, რაკი აწერილ სასახლეების შენობათა ქრონოლოგიური ადგილი გამოვარკვიეთ, ჩვენ შეგვიძლიან ჯამი გაუკეთოთ ამ მხატვრულ მოვლენას. ყველა ეს სასახლეები წარმოადგენენ ორ სართულიან შენობებს, სადაც ქვედა სართულში თავმოყრილია სამოსამსახურო, ყოველ შემთხვევაში დამატებითი და მეორეხარისხოვანი ბინები, ხოლო ზედა სართული წარმომადგენლობის ადგილი იყო. ამისდა გვარად შედგენილია უკვე ფასადების პროპორციები—ზედა შესამჩნევად მაღალია ქვედაზე, რასაც ბეჯითად მოწმობენ დიდი ფანჯრები, რომლების სიგრძის ფასადზე ძველ მწკრივად მიდის თანასწორად განაწილებული კამარების თავზე და ორპირი კიდევ უფრო ძლიერი კამარა გვერდის ფრონტონებით დამთავრებულ ვიწრო ფასადებზე. თუმცა შესაველებს (ქვედა სართულში) ფართე კამარა აქვს, მაგრამ სიმაღლეში ისინი იმავე სართულის პატარა ფანჯრების მწვერვალზე უსწორდებიან. მხატვრულად მოფიქრებულნი იყვნენ ამ მხრივ ის ღია ტერასები ზედა დარბაზებთან, რომლებიცაა ნეკრესში და იქნებ კვეტერაშიაც. საზეიმო დარბაზი შექმნილია მიღებისთვის შიგნიდანაც იმავ სამხატვრო მისვლით, იგი უზარმაზარია და მთლად სავსეა სინათლით დიდებული კამარებიდან, რომლებიც იწყებიან იატაკის პირიდან და რომლებსაც ამისდა გვარად მოაჯირი აქვთ. ამ დარბაზის სივრცის დანიშნულება განსხვავდებოდა ეკლესიური სივრცის დანიშნულებისაგან: მას მაყურებლის ყურადღება უნდა მიექცია ძირს, „მიწისკენ", მას უნდა ეს ყურადღება მიეპყრო იმ მოქმედებისა, ქცევისა და ცერემონიალისთვის, რომელიც აქა ხდებოდა. უკვე მდებარება ფანჯრებისა, რომლებიც იატაკის პირიდან იწყებიან, მოქმედებს ამ მიმართულებით. მაგრამ ნამეტნავად მოქმედებს პრტყელი ჭერის შემოღება თაღების მაგიერ. ცისკენ მიმავალის ნაცვლად აქ ვხედავთ გაჭიმულად მიწასთან დამაახლოვებელ დამთავრებას. სივრცის შებღუდვას. ამასთან პრტყელი ჭერი იყო რასაკვირველია ხისა, მიკრული ნივნივებთან (კავებთან), რომლების ზემოთ იდვა სახურავი[1]. უეჭველია ჭერი უნდა დამყარებული ყოფილიყო სვეტებზე, როგორც ქვედა სართულში. ყველა ეს არ იძლეოდა მოძრაობას ზევითკენ, პირიქით ამ მოძრაობას ეწეოდა ძირს „მიწაზე". აქნაირადვე უნდა ემოქმედნა დარბაზის მთელ დეკორატიულ მოკაზმულობას, რომელსაც შეადგენდენ დიდი კამარები და მათი განაწილება, მოაჯირები (ალბათ ჩუქურთმიანი ხისა ან სხვანაირი) და, დასასრულ, აკადემიაში 8-წახნაგიანი სვეტი და არქატურები კედლებზე. გარდა ამ საამშენებლო ელემენტებისა იყო საგანგებო დეკორატიულებიც, როგორც მორთვა ხალებით და ქსო-

[1]) პატარა სივრცეები, სადაც ხუროთმოძღვარს არავითარი შთაბეჭდილების მოხდენის იმედი არ უნდა ჰქონოდა, მაგალითად, როგორც აკადემიის ვიწრო გალერეაში, დახურულია ქვისგან შეკრული თაღებით. ქართველი ხუროთმოძღვრისთვის ეს ხომ ბუნებრივი და ჩვეულებრივი იყო და ამიტომ ფსიქოლოგიურად უფრო ადვილი.

ვილებით და შემდეგ ჩუქურთმა ხის სვეტებზე. მართალია, ჩვენ არავითარი პირდაპირი საბუთი არა გვაქვს იმისი, რომ ამ სასახლის დარბაზებში ჩუქურთმიანი ხის სვეტები ყოფილიყოს, მაგრამ ამ მოსაზრებას ვერ უარვყოფთ, რაკიდაც ჩვენ მოვინდომებთ ამ სასახლეების სახის აღდგენას. ჰდეული ხის ბოძები ხომ მუდმივ და უცვლელ, თვით ქართველის ქრისტიანობის წინა დროის სარწმუნოებრივ მოქმედებასთან დაკავშირებულს ელემენტს შეადგენს უბრალო გლეხურ სახლებისას[1]. და ჩუქურთმა ხეზე ყოველთვის ძლიერ მაღლა იდგა საქართველოში და ფართედ იყო გავრცელებული, როგორც ხელოვნების განსაზღვრული შტო. ამაზე ხმა მაღლა ღაღადებენ ისეთი ჩვენამდე შემთხვევით მოსული ძეგლები, როგორც ეკლესიის კარები სვანეთიდან, მღვიმისა, რკონის მონასტრებიდან, სავანისა, იკვის და სხვა ეკლესიებიდან; ამასვე მოწმობს ჩუქურთმა ხის სხვა საგნებზედაც (ესეც ნამეტნავად გავრცელებულია სვანეთში, მაგრამ მის გარეთაც მისდევენ ამ ხელობას). ბუნებრივია ამისთანა პირობებში, რომ ასეთი კეთილშობილი და მდიდრიანი, ამასთან კარგად ცნობილი ელემენტი დეკორატიული მორთულობისა არ დარჩენილიყო გამოუყენებელი სასახლის დარბაზებში, რომ მას იქ არ დაეიწყებდნენ. ამ ჩუქურთმის გამოყენებას მაინც უეჭველი პარალელი აქვს ქალ. ანისის (სომხეთში) აკროპოლის ერთ-ერთ დარბაზში (ეგრეთ წოდებულ „ბაზილიკურში"), რომელსაც აკადემიკოსი ნიკ. მარრი მეფეების ხანას (X—XI ს. ს.) აკუთვნებს[2]. აქ ჩვენ ხის ბოძები შეგვხდა, ჩასმულნი ქვის ბაზისებში; ხოლო იმავე სასახლის სხვა დარბაზები მორთულები იყვნენ კიდევ ძერწვით და მხატვრობით კედლებზე[3]. გარდა იმისა, რომ ყურადღება უმთავრესად მიექცია მოქმედებისთვის თითონ დარბაზში, უეჭველია, რომ აღმშენებელი სხვა აზრითაც ხელმძღვანელობდა მიეცა ფართე გასახედი, ფართე ჰორიზონტი სასახლის ფანჯრებიდან. მართლაც და ჩვენ ვნახეთ, რომ ყველა სასახლეები აშენებულნი იყვნენ უეჭველის ანგარიშით ზესაფერ საგანგებოდ არჩეულ ადგილას. იგივე თვისება—შესაძლებელი იყოს შორეული და ლამაზი გასახედები ფანჯრების დიდი კამარებიდან ან ტერასებიდან მათ წინ,—მეორდება ორსავე ზემომოყვანილ პარალელებშიაც კოსტანტინეპოლსა და ანისში; ესევე თვისება ახასიათებს მუსულმანთა სასახლეებსაც (მაგ. სელჩუკებისას კონიაში): ცხადია, ამაში იხატება საერთო კულტურული მოთხოვნილება.

მიუხედავად იმისა, რომ ის მასალა, რომელიც მე აქ წარმოგიდგინეთ, მეტად ნაწყვეტებისაგან არის შედგენილი, და აგრეთვე მიუხედავად იმისა, რომ

---

[1]) იხილე: გლეხის დარბაზი დიღომში. დახომა და დახახა ხუროთმოძღვარმა ნიკ. სევეროვმა. ტფილისი 1922 (საქართველოს სამხატვრო აკადემიის გამოცემა).

[2]) ანისის ზედა-ციხის გეგმა იხ. Prof. N. Marr, Monuments de l'art arménien, I: Ani. Eglise du palais. Publication du Musée d'antiquités d'Ani SPbg. 1915, გვ. 8 (=Strzygowski, Die Baukunst der Armenier und Europa, Band I, Wien 1918, S. 274, Abb. 312).

[3]) იხ. І. А. Орбели, Краткій путеводитель по городищу Ани (Анійская Серія, № 4), СПБ. 1910, стр. 12—15; ჩემი წერილი „Городъ Ани", журнала „Орiонъ", Тифлисъ 1919. № 3, გვ. 75—77 და აგრეთვე Отчетъ Анійскаго Музея Древностей за 1916 годъ (Анійскія Древности, III) Птг. I. 1918. стр. 21.

სრულიად არ არსებობს წინანდელი, წინასწარი გამოკვლევანი, ან გინდ გამოქვეყნებული მასალა საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების შესახებ, ჩემ მიერ წარმოდგენილი მასალა მაინც საკმაოა იმისთვის, რომ გამოვარკვიოთ ქრონოლოგიური ჩარჩოები ძეგლებისთვის (თუმცა ეს ჩარჩოები ჯერ კიდევ ძლიერ ფართოებია ყოველ თითოეული ძეგლისთვის), და რომ აღინიშნოს თანდათანობა ამ ძეგლებისა მათი განსაზღვრული ელემენტებით. თუ ჩემი შრომის ამ მხარეს შეიძლება შევხედოთ მხოლოდ როგორც მუჯლუგუნს ქართული ხელოვნების ამ განყოფილების შესასწავლად, რომელიც მოითხოვს კიდევ დამტკიცებას, გაღრმავებას და ზედმიწევნით განსაზღვრას, მაინც გამოყოფა იმ ახალის ხუროთმოძღვრული ხერხებისა და მოტივებისა, რომლებიც გამოყენებულნი იყვნენ ძველ ხუროთმოძღვართა ცივრ მხოლოდ საერო ხუროთმოძღვრებაში და შემუშავებულნი სასტიკი ლოღიკური შეთანხმებით მის განსაკუთრებულ მიზნებთან და ხასიათთან ერთად, უეჭველია წარმოადგენს უკვე განსაზღვრულ გაფართოებას და გაღრმავებას ჩვენი საერთო ცოდნისას ქართული ხელოვნების შესახებ. ეს აღნიშნული სპეციალური თვისებანი, რომელნიც კახეთის სასახლეების შენობებს საშუალო ხანისას ახასიათებენ, გვიჩვენებენ, რომ ძველი სასახლეების ხუროთმოძღვრებაში ჩვენ საქმე გვაქვს აგრეთვე სრულიად განვითარებულ მხატვრულ შემოქმედებასთან, რომელსაც თავისი ტრადიციები აქვს ისე, როგორც საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში; რომ მასში განსაზღვრულ ამოცანებს აყენებენ და რომ მათ სწყვეტენ სრულიად დამოუკიდებლად, მათის განსხვავებული ხასიათისდა გვარად. ახალმა ამოცანებმა აქ ახალი, განსხვავებული გადაწყვეტანი წამოაყენეს. და ეს გადაწყვეტანი იმდენადვე მთლიანი და დამთავრებულნი არიან, როგორც გადაწყვეტანი საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში, რომლის ძეგლები ჩვენთვის ასე მრავლად და ნაირ-ნაირად შენახულია საერო ხუროთმოძღვრებასთან შედარებით. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ჩვენმა ძველმა ხუროთმოძღვრებმა დაამტკიცეს, რომ ისინი ბაღლა იდგენ როგორც საეკლესიო, ისე საერო ხუროთმოძღვრებაში.